

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

თემატური მოკვლევის ანგარიში

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-  
ჰიგიენური და სკოლის ექიმების ნორმების დაცვის პრაქტიკა  
და არსებული გამოწვევები

2024

### **თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები:**

მთავარი მომხსენებელი: ვლადიმერ კახაძე - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი

ჯგუფის წევრი: ზაალ მიქელაძე - საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ჯგუფის წევრი: რამინა ბერაძე - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი

ჯგუფის წევრი: ირმა ზავრადაშვილი - საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი

### **თემატურ მოკვლევაზე მუშაობდნენ:**

რევაზ კობახიძე - გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ქეთევან დადიანი - გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

მანანა გრძელიშვილი - გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო ეკოლოგიისა და რისკის შეფასების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ლიანა სირაძე - „ალიანსი ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა“ დამფუძნებელი, პედიატრი

თეონა აბულაძე - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის აპარატი

## სარჩევი

შესავალი .....	4
მოკვლევის შესახებ .....	6
მეთოდოლოგია.....	7
საკითხის მიმოხილვა.....	8
მიღებული მოსაზრებების ანალიზი.....	11
სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.....	11
სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე კონტროლი და არსებული მექანიზმების/რესურსების საკმარისობა .....	11
თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უსაფრთხო სველი წერტილებით სკოლების უზრუნველყოფა .....	16
დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, ნარჩენების მართვისა და სხვა არსებულ ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პერსონალის ინფორმირებულობა.....	22
ცხოველებისა და მწერების მიზეზით განპირობებული დაავადებების პრევენციისთვის სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურა .....	24
წყალი.....	28
ჰაერი.....	36
სკოლის ექიმი.....	40
მიგნებები .....	45
სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.....	45
წყალი.....	47
ჰაერი.....	48
სკოლის ექიმი.....	49
რეკომენდაციები .....	50
გამოყენებული ლიტერატურა .....	54
დანართი.....	57

## შესავალი

საქართველოს ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს განათლების სფერო წარმოადგენს, რაზეც მოწმობს გაზრდილი საბიუჯეტო დაფინანსება. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბიუჯეტმა 2024 წელს 2.5 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის, სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერისკენ.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტისთვის სკოლებში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რის გამოც კომიტეტმა გასულ წლებში მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ინიციატივას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური და სკოლის ექიმების ნორმების დაცვის საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის დროს. შესაბამისად, კომიტეტმა 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე მიზნად დაისახა ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შესწავლა და საპასუხო, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. აღნიშნულის მისაღწევად შეირჩა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლით გათვალისწინებული თემატური მოკვლევის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებაში.

თემატური მოკვლევა - საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური და სკოლის ექიმების ნორმების დაცვის პრაქტიკა და არსებული გამოწვევები მომზადდა მასწავლებლების, მშობლების, სკოლების ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო რესურსცენტრების, დარგის სპეციალისტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, მათი

წერილობითი მოსაზრებების, საჯარო განხილვებისა და ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების საფუძველზე.

კომიტეტის მიერ თემატური მოკვლევითვის შემუშავდა ტექნიკური მოთხოვნის დოკუმენტი (იხ. დანართი), რომელიც მოიცავდა კითხვებს, აღნიშნულზე პასუხები დაინტერესებულმა მხარეებმა წერილობით წარმოადგინეს. კომიტეტმა მიიღო 86 საჯარო სკოლისგან ინფორმაცია, ჩატარდა ერთი ზეპირი მოსმენა, 2 გასვლითი და 4 სამუშაო შეხვედრა. ზემოხსენებული პროცესის შედეგად მიღებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მიგნებები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

თემატური მოკვლევა მიმდინარეობდა 2023 წლის ივნისიდან 2024 წლის მარტის ჩათვლით.

## მოკვლევის შესახებ

თემატური მოკვლევა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ინსტრუმენტია, რომლის დანიშნულებაც საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება.

თემატური მოკვლევის ფარგლებში, მოკვლევის ჯგუფი ახორციელებს აქტუალური საკითხის შესწავლას, რომლის შედეგადაც მუშავდება ჩართულობასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანგარიში.

მოკვლევის ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილია აღმასრულებელი ხელისუფლების მისამართით გაცემული რეკომენდაციები.

მოკვლევის მიზნად განისაზღვრა:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო პუნქტების/კაბინეტებისა და პერსონალის მუშაობის ეფექტიანობის შესწავლა;
- სკოლების თანაბარი ხელმისაწვდომობის შეფასება სუფთა წყალზე;
- სკოლაში სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის პრაქტიკა;
- სუფთა წყალსა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცესში სკოლის ექიმის როლის გამოკვეთა;
- ჯანმრთელობის, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საჭირო ინტერვენციების განსაზღვრა;
- სკოლების მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური სტანდარტების დაცვასთან, ექიმის ფუნქციონირებასთან და სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მხარდამჭერი მექანიზმების შეფასება.

## მეთოდოლოგია

კომიტეტმა თემატური მოკვლევის-„საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური და სკოლის ექიმების ნორმების დაცვის პრაქტიკა და არსებული გამოწვევები“, დაწყების შესახებ გადაწყვეტილება 2023 წლის 26 ივნისს გამართულ სხდომაზე მიიღო, სადაც დამტკიცდა მოკვლევის საკითხი და მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობა. შემუშავდა თემატური მოკვლევის ტექნიკური მოთხოვნის დოკუმენტი (დანართი N1), რომელიც განთავსდა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ მის საფუძველზე წარმოდგინათ დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებები.

მოკვლევის პროცესში კომიტეტმა მიიღო 90 წერილობითი მოსაზრება, ავტორთა შორის იყვნენ საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, საერთაშორისო, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საჯარო უწყებების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ საკითხის შესწავლის მიზნით, განხორციელდა 2 ვიზიტი მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამასთანავე, მოკვლევის ჯგუფმა მიიღო წერილობითი მოსაზრებები მთელი საქართველოს მასშტაბით მდებარე სკოლებიდან.

მოკვლევის ფარგლებში, წერილობითი მოსაზრებების ავტორთა და დარგის სპეციალისტთა მონაწილეობით ჩატარდა ზეპირი მოსმენა.

გარდა ამისა, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა კვლევები და საკითხთან მიმართებით არსებული ლიტერატურა.

შემოსული მოსაზრებების, ჩატარებული კვლევების, ზეპირი მოსმენების, ინტერვიუებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა მიგნებები და შემუშავდა მათი საპასუხო რეკომენდაციები.

## საკითხის მიმოხილვა

2022 წლის 21 მარტს გამოიცა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესი, რითაც განისაზღვრა სკოლაში დასაქმებული ექიმის/ექთნის უფლებამოსილება და ვალდებულებები, სამედიცინო კაბინეტის/პუნქტის სტანდარტები და სკოლის სამედიცინო პერსონალის განაწილების პრინციპი, პერსონალის ჩართულობა სანიტარიულ-ჰიგიენურ ზედამხედველობაში და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

გარემო პირობების გავლენა მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპლექსურია და მჭიდროდ უკავშირდება სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური ფაქტორების ეფექტურ მართვას. 2013 წელს საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებული კვლევის თანახმად, სკოლაში სტანდარტებთან შეუსაბამო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, სწავლის მოტივაციაზე, სკოლაში დასწრების მაჩვენებლებსა და მოსწრებაზე.<sup>1</sup>

საქართველოს სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების (WASH in Schools) მონიტორინგის რუტინული სისტემის ამოქმედებას, რომელიც კომპლექსურად შეაფასებს არსებულ მდგომარეობასა და წლიდან-წლამდე მიღწეულ პროგრესს, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. მსგავსი სისტემები მრავალ ქვეყანაშია დანერგილი და რეკომენდებულია ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO).

---

<sup>1</sup> საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო, გაეროს ბავშვთა ფონდი „წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების კვლევა საჯარო სკოლებში“, 2013 წელი



მოსწავლეების ჯანმრთელობის დაცვა და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა ვერ იქნება მიღწეული თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ იქნება დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები და ხარისხიანი სასმელი წყალი (იხ. ცხრილი N1)<sup>2</sup>

ცხრილი N1



საფრთხეები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე წარმოადგენენ ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებს, შესაძლოა პოტენციურ რისკს უქმნიდნენ მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, როგორც ახლო, ასევე, შორეულ პერსპექტივაში. საფრთხით განპირობებული რისკების შესაფასებლად აუცილებელია განხორციელდეს საფრთხის გამოვლენის ალბათობისა და ზემოქმედების სიმძიმის შეფასება.

<sup>2</sup> ევროპის ფონდის ახალგაზრდული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს განათამის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო „ძირთადი მოთხოვნები სკოლის ტუალეტების უსაფრთხო მოხმარებისადმი“.

სასკოლო გარემოს თითოეული კომპონენტის მართვის საკითხები მჭიდროდ უკავშირდება სკოლებში ჰიგიენური პირობების სათანადო მართვას, რომლის ეფექტური განხორციელება შეუძლებელია საფრთხეების ანალიზისა და რისკების შეფასების გარეშე. სასკოლო გარემოს ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა და მის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება კი საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას.<sup>3</sup>

ამასთანავე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჯანმრთელობასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები უწყვეტად ისწავლება I-XII კლასებში და წარმოდგენილია რამდენიმე საგნობრივ ჯგუფში: ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები და სპორტი.

---

<sup>3</sup> Zomerplaag J, Mooijman A (2005). Child-friendly hygiene and sanitation facilities in schools: indispensable to effective hygiene education. Technical paper series No. 47. IRC International Water and Sanitation Centre, Delft and United Nations Children's Fund, New York. Available at <http://www.irc.nl>

## მიღებული მოსაზრებების ანალიზი

### სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე კონტროლი და არსებული მექანიზმების/რესურსების საკმარისობა

თემატური მოკვლევის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების უმრავლესობაში აღნიშნულია, რომ ავტორები სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვას მაღალ დონეზე ახორციელებენ. ტექნიკური პერსონალი, როგორცაა დამლაგებელი, მეეზოვე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სისტემატიურად ახორციელებს სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დასუფთავებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინის „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ რეკომენდაციების მიხედვით. კერძოდ, ბუნებრივი გზით ნიავედება საკლასო ოთახები, სველი წესით წესრიგდება ზედაპირები და იატაკი, სველ წერტილებში მოწყობილია გამწოვი ვენტილაცია. სკოლები აღნიშნავენ, რომ ამ პროცესების ოპტიმალურად მართვასა და ზედამხედველობაში აქტიურად არის ჩართული სკოლის ადმინისტრაცია, რადგან სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა მათთვის პრიორიტეტულია.

სკოლის დირექტორების მიერ გამოცემული ბრძანებებისა თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრული არიან სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. მაგრამ, არ არის დაკონკრეტებული ამ პირთა თანამდებობა სკოლაში (დამლაგებელი, ადმინისტრაციული ნაწილის პერსონალი, მნე თუ სამედიცინო განათლების მქონე პირი). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ

ბრძანებაში №41/ნ/01-23/ნ განსაზღვრულია, რომ სკოლის ექიმის კომპეტენციაა განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილი აღნიშნავს, რომ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა კონტროლდება შიდა და გარე მონიტორინგის საფუძველზე. შიდა მონიტორინგში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, ხოლო გარე მონიტორინგს ახორციელებენ „შესაბამისი სამსახურები“. უმრავლეს შემთხვევაში „შესაბამისი სამსახურები“ არ არის განმარტებული, თუმცა ზოგიერთი სკოლა აკონკრეტებს და უთითებს, რომ ეს შეიძლება იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადგილობრივი რესურსცენტრი. ასევე, დასახელებულია რაიონული ჯანდაცვის ჩართულობაც. ზემოხსენებულთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უწყება ახორციელებს აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგს, კერძოდ რეგიონალური კოორდინაციის სამმართველოს ფუნქციას დაემატა საჯარო სკოლის სასწავლო გარემოს მონიტორინგის ვალდებულება, შესაბამისად სამმართველოს თანამშრომლები ინტენსიურად ამოწმებდნენ სკოლებს პანდემიის დროს და შემდეგაც, ასევე იგეგმება მონიტორინგის გაძლიერება. აქვე, გარემოს მონიტორინგის პროცესში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა: სველი წერტილი, დერეფანი, საკლასო ოთახი, წყლის და ჰიგიენური საშუალებების არსებობა სკოლაში.

სკოლები აღნიშნავენ, რომ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად გააჩნიათ მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც გამოიყენება დანიშნულებისამებრ.

რამდენიმე სკოლის განმარტებით, მათ შიდა ტერიტორიაზე გამოკრულია საინფორმაციო სახის დაფა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ.

ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აკონკრეტებს, რომ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად საჭირო რესურსის შექმნა ხდება სკოლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით. საჭიროებებიდან გამომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის რეკომენდაციით, შესაძლოა განხორციელდეს სკოლის ბიუჯეტის გადახედვა და სადეზინფექციო თუ სხვა საჭირო ინვენტარი დამატებით შესყიდვა. კვლევაში მონაწილე სკოლების უმეტესობა ახერხებს სადეზინფექციო საშუალებების შექმნას, თუმცა რამდენიმე მათგანი აღნიშნავს, რომ მათთვის რთულია ბიუჯეტის იმგვარი გადანაწილება, რომ დააკმაყოფილონ სკოლის საჭიროებები. აღნიშნულის საპასუხოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავენ, რომ იმ შემთხვევაში თუ სკოლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი არ არის საკმარისი გარკვეული საჭიროების უზრუნველსაყოფად, უწყების მიერ ხდება დამატებითი დაფინანსება დაჩქარებული პროცესით.

რამდენიმე სკოლა უთითებს დასუფთავების თანამედროვე ინვენტარის შექმნის საჭიროებაზე. ისინი გამოთქვამენ სურვილს ჰქონდეთ მტვერსასრუტი და იატაკის მექანიკური საწმენდები, რათა გამარტივდეს სკოლის შენობის ტერიტორიაზე დასუფთავების პროცედურები. მსგავსი რესურსის ქონა დაკავშირებულია დამატებით მატერიალურ ხარჯებთან, რაც ბევრი სკოლისთვის არ არის ხელმისაწვდომი. 2001 წლის N308/ნ ბრძანების მიხედვით „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრულია ჰიგიენური მოთხოვნები თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სხვებთან ერთად მასში მოცემულია სკოლების აღჭურვის სტანდარტები, ამასთანავე, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თუ სკოლას აქვს რაიმე საჭიროება აღნიშნული სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და უწყებას წარუდგენს დასაბუთებულ პოზიციას,

სამინისტრო პრიორიტეტულად განიხილავს ხსენებული საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხს.

კვლევის ფარგლებში, სკოლების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გამოვლინდა, რომ მათი უმეტესობა სირთულეებს აწყდება სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პერსონალისთვის კადრების მოძიებაში- „ადამიანური რესურსი საკმარისი არ არის“ და „ჭირს კვალიფიციური კადრის მოძიება“. ასევე დაფიქსირებულია, რომ დასაქმებულ პერსონალს აქვს დაბალი შრომითი ანაზღაურება, რაც არ შეესაბამება მათ მიერ ნაკისრ პასუხისმგებლობას და გაწეულ შრომას. მსგავსი შეფასება გაკეთდა სკოლების ხელმძღვანელ პირებთან და ექიმებთან შეხვედრის დროსაც. აღნიშნული პრობლემის არსებობა ასევე ფიქსირდება მშობელთა გამოკითხვის შედეგებში<sup>4</sup>, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის - „მშობლები განათლებისთვის“ პროექტის „მშობელთა ორგანიზებული ჩართულობა სკოლაში“ ფარგლებში განხორციელდა 2023 წელს და რომელშიც 1030-მა მშობელმა მათ შორის, თბილისში, სხვა დიდ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა.

რამდენიმე სკოლამ ადამიანური რესურსის სიმჭირე სოციალური დასაქმების პროგრამით აყვანილი კადრებით გადაჭრა. დასაქმებული პირები მუშაობენ დამლაგებლებად და გარე სივრცის ზედამხედველებად სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა შესვლა/გადაადგილების გასაკონტროლებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მოწოდებულია შეფასება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა არ რეგულირდება რომელიმე კონკრეტული ნორმატიული აქტით. ორგანიზაციის შეფასებით, ამ პროცესის მომწესრიგებელი ასპექტები გაბნეულია სხვადასხვა გაიდლაინებსა და ნორმატიულ დოკუმენტებში.

---

<sup>4</sup> გამოკითხვა ჩატარა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“, პროექტის „მშობელთა ორგანიზებული ჩართულობა სკოლაში“ ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

სკოლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ არ არსებობს ტექნიკური რეგლამენტი და ერთიანი სამოქმედო ჩარჩო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაში. მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები, მეტწილად ეფუძნება COVID 19 პანდემიის დროს შემოღებულ ღონისძიებებს.

აღნიშნულის საპირისპიროდ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო განმარტავს, რომ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები სკოლაში დარეგულირებულია 2 მნიშვნელოვანი დოკუმენტით 2001 წლის ბრძანება სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ, ასევე 2020 წლის ბრძანებით სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაცია. მათ მიერვე მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით უკანასკნელი წლების განმავლობაში სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, რასაც ხელი შეუძლევს COVID 19 პანდემიის დროს გამკაცრებულმა რეგულაციებმა და რისკების მაღალმა საფრთხემ. 2019-2020 სასწავლო წლის ბოლოს პანდემიის გამო დახურული სკოლის შენობების გახსნა განხორციელდა შრომის ინსპექციის სამსახურის ზედამხედველობით.

აღსანიშნავია, რომ მოწოდებული მოსაზრებების საფუძველზე გამოიკვეთა განსხვავებული ტენდენცია ახალგაზრდობის სკოლებსა და მოძველებულ შენობებში განთავსებულ სკოლებს შორის. სკოლები, რომლის რეაბილიტაციაც მოხდა უახლოეს წარსულში, აღნიშნავენ, რომ მათთან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები უახლეს სტანდარტებს აკმაყოფილებს. მოძველებულ შენობებში განთავსებული სკოლები კი აკონკრეტებენ, რომ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა გართულებულია და გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ეს ტენდენცია არ არის გასაკვირი, რადგან ჰიგიენური ნორმების დაცვა და ზედამხედველობა გამართივებულია განახლებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სადაც კედლები, იატაკი, სველი წერტილები და საკლასო ოთახების მოწყობა შეესაბამება უახლეს სტანდარტებს. მოძველებული შენობები კი

დამატებით შრომასა და ძალისხმევას საჭიროებს, რათა დაკმაყოფილდეს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. აქვე, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის ინიციატივა 800 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის თაობაზე, რომლისთვისაც განსაზღვრულია მილიარდ ლარზე მეტი, ზემოხსენებული პროცესის დასრულება, კი 2026 წლისთვის იგეგმება. ამასთანავე, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ იგეგმება:

- 200-მდე სკოლის სრული რეაბილიტაცია (KFW/EBRD ) პროექტის ფარგლებში;
- 20-მდე სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია ევროპის ცენტრალური ბანკის პროექტის ფარგლებში;
- 14 ახალი სკოლის მშენებლობა და 24-ის სრული რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში.

ასევე, ბოლო 5 წლის განმავლობაში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ აშენდა 80-ზე მეტი ახალი სკოლა და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 70-ზე მეტ მშენობას, ესიდას მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში აშენდა 70-ზე მეტი ახალი და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 70-ზე მეტ სკოლას და 2020 -2021 (პანდემიის) წლებში ადგილობრივი მონუციპალიტეტების მიერ მოქმედი რეგულაციების დაცვით რეაბილიტირდა ან აშენდა სკოლის სანკვანძები.

მიმდინარე პროცესი უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უსაფრთხო სველი წერტილებით სკოლების უზრუნველყოფა

სკოლებში ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა თითოეული მოსწავლისათვის არის პარმის 2010 წლის დეკლარაციის - „გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვა“



ძირითადი, ფუნდამენტური პრინციპი<sup>6</sup>, ამასთანავე, აღნიშნულ საკითხს ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, რომლის თანახმადაც, 2030 წლისთვის ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა უსაფრთხო სასმელ წყალზე. ამავდროულად, საქართველოს ნაციონალიზებული აქვს მდგრადი განვითარების არაერთი მიზანი, მათ შორის 6.1 და 6.2, რომელიც გულისხმობს 2030 წლისთვის ყველა ადამიანის უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სასმელი წყლით თანაბარ უზრუნველყოფას, ასევე ადეკვატურ და თანაბარ სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებზე წვდომას. ამასთანავე, ევროპის ქვეყნების ნაწილმა აიღო ვალდებულება ბავშვთა მოვლის ცენტრები, საბავშვო ბაღები და სკოლები უზრუნველყონ უვნებელი სასმელი წყლით და სანიტარიული მდგომარეობისათვის აუცილებელი საშუალებებით და აღორძინონ ჰიგიენური წესების დაცვის სანიმუშო პრაქტიკა. სახელმწიფო ვალდებულია სკოლები უზრუნველყოს როგორც ხარისხიანი სასმელი წყლით, ასევე კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობით სათანადო სველ წერტილებზე ხელმისაწვდომობის გზით.

უსაფრთხო სანიტარიული სისტემების არ არსებობა ზრდის ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს. სველი წერტილით სარგებლობისაგან თავის შეკავებამ შეიძლება გამოიწვიოს შარდის ბუშტის ფუნქციის დარღვევა (მაგ. შეუკავებლობა), საშარდე გზების ინფექციები და სხვა, შეამციროს სითხეზე მოთხოვნილება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების ორგანიზმის გაუწყლოებას.

აღსანიშნავია, რომ სველ წერტილებში არსებული მიკრობების მხოლოდ 19% ბინადრობს უნიტაზში, მათი დიდი ნაწილი გვხვდება ხელსაბანებსა და იატაკზე, კედლებზე, კარების სახელურებზე და ჩასარეცხ ღილაკზე. მოსწავლეთა არასწორი ჰიგიენური ქცევები (უნიტაზზე ფეხით დადგომა, დაუბანელი ხელები და სხვ.) ხელს უწყობს მიკრობების გავრცელებას და ზრდის სხვადასხვა ნაწლავური, საშარდე გზების და რესპირატორული ინფექციების გავრცელების რისკს.

---

6. WHO. Regional Office for Europe. Copenhagen. Parma Declaration on Environment and Health. Fifth Ministerial Conference on Environment and Health – “Protecting Children’s Health in a Changing Environment”, Parma, Italy, 10-12 March 2010. EUR/55934/5.1 Rev.2 100604

სანიტარიული კვანძი შეიძლება განთავსებული იყოს სკოლის შენობაში ან შენობის გარეთ ისე, რომ მისი გამოყენება არ იყოს დაკავშირებული ფიზიკურ საფრთხეებთან (მაგ, გაუმართავი ინფრასტრუქტურა შენობის შიგნით, საპირფარეშომდე მისასვლელი გზის არ არსებობა შენობის გარეთ, ბუნებრივი და ხელოვნური განათების, ასევე დაცულობის, პრივატულობის მხრივ არსებული პრობლემები, ხელსაბანების არარსებობა, არასასურველი კლიმატური პირობები და სხვ.).

სკოლის ადმინისტრაციამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეების ჰიგიენური ქცევის გაუმჯობესებას. პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხო პრაქტიკის სწავლებით, მოსწავლე სკოლის კედლებს მიღმა ავრცელებს სასარგებლო ქცევას თუ მესიჯებს და ხელს უწყობს საკუთარი, ოჯახის და უფრო ფართო საზოგადოების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. სანიტარიული-ჰიგიენის საკითხებზე განათლება, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეფექტურ სწავლებას, რადგან მოსწავლეები უკეთეს შედეგებს აღწევენ სუფთა და ჯანმრთელ გარემოში. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების და განათლების კომბინაცია ხელს უწყობს სკოლებში გენდერული თანასწორობას და უზრუნველყოფს მოსწავლეების, განსაკუთრებით გოგონების, დასწრების ზრდას.

სკოლაში არსებული სველი წერტილები უნდა იყოს:

- სუფთა და მოქმედი;
- ხელმისაწვდომი მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირებისათვის;
- პრივატული, იძლეოდეს განმარტოების შესაძლებლობას;
- სათანადოდ დაცული;
- მოხერხებული და უსაფრთხო გამოსაყენებლად;
- სათანადოდ აღჭურვილი ჰიგიენური საშუალებებით (ქაღალდი, ქაღალდის ხელსახოცი, საპონი, წყალი და ა.შ.).

სუფთა, სათანადოდ დაცული, პრივატული, რეგულარულად დალაგებული სველი წერტილები მიმზიდველი ხდება მოსწავლეებისათვის, მცირდება იმ მოსწავლეების რიცხვი, რომლებიც თავს იკავებენ სველი წერტილით სარგებლობისაგან.

შევსებულ კითხვარში სკოლების ნაწილი აკონკრეტებს, რომ სკოლაში არსებული სველი წერტილები აღჭურვილია პრივატული, უსაფრთხო, მოსახერხებელი ინვენტარით, სანიტარიულ კვანძებს აქვთ, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება და ვენტილაცია, გამოყოფილია გოგონებისთვის და ბიჭებისთვის იზოლირებული სველი წერტილები, პერსონალისთვის არსებობს დამოუკიდებელი სარგებლობის სველი წერტილი. ზოგიერთ სკოლაში არსებობს ასაკობრივი შესაბამისობით მოწყობილი სველი წერტილები - დაწყებითი, საშუალო და საბაზო სკოლის მოსწავლეებისთვის. სველი წერტილების დასუფთავება ხდება ყოველდღიურად, სველი წესით. ხელის დასაბანად მისაწვდომ ადგილზე განთავსებულია საპნის დისპენსერი, ხელსახოცი, მუდმივი მიწოდების ცხელი და ცივი წყალი.

არსებული პოზიტიური მდგომარეობის მიუხედავად, სკოლები აღწერენ სხვადასხვა გამოწვევებს, რაც ხელს უშლის ჰქონდეთ გამართულად მომუშავე თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი სველი წერტილები.

სკოლების ნაწილი აღნიშნავს, რომ არსებული სველი წერტილები რაოდენობრივად ვერ აკმაყოფილებს სკოლის კონტინგენტს. მაგალითად, მოყვანილია მონაცემები, რომ სკოლაში მყოფი 1000 მოსწავლისთვის გამოყოფილია სულ 8 სველი წერტილი, რაც არ არის საკმარისი. აღნიშნული წარმოქმნის რიგს სველ წერტილებთან, მოსწავლეები ვერ ახერხებენ დასვენებისთვის განკუთვნილ შეზღუდულ დროში ისარგებლონ სველი წერტილებით. ეს საკითხი უფრო მეტი სიმწვავეით დგას ქალაქად არსებული სკოლებისთვის.

სოფლად არსებულ სკოლებში სველი წერტილები მოწყობილია როგორც სკოლის შიდა ტერიტორიაზე (შენობაში), ასევე გარეთაც. წლის ცივ სეზონებზე გარეთ არსებულ სველი წერტილების გამოყენება დამატებით გამოწვევას ქმნის როგორც

სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, ასევე დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირებისთვისაც.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მიმოხილულია კვლევები საქართველოს სკოლებში სველი წერტილების ზოგად მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2013 წელს საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებული კვლევის თანახმად, სკოლების თითქმის მეოთხედი სანიტარიული კვანძების მხოლოდ „არაგაუმჯობესებულ“ ტიპებს იყენებდა, ზოგიერთ სოფლის და ქალაქის ცალკეულ სკოლებში კვლავ გამოიყენებოდა „სათლი“. „სკოლის შიგნით ჯიხურები სკოლების მხოლოდ 35 %-ს ჰქონდა, სოფლად კი სანიტარიული კვანძები მხოლოდ ყოველ მეხუთე სკოლაში გვხვდებოდა. ასევე დიდი იყო შენობიდან სველი წერტილის დაშორება, რომელიც 10-200 მეტრის ფარგლებში მერყეობდა“. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ 2013 წლამდე „არასაკმარისი იყო სანიტარიული კვანძების რაოდენობა მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებაში (საშუალოდ 1 ჯიხური 54 მოსწავლეზე)“. ამ ფაქტს ადასტურებდა ქალაქად არსებული ზოგიერთი სკოლა, მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში.<sup>6</sup>

უსაფრთხო და ადაპტირებული სველი წერტილების ხელმისაწვდომობის კუთხით მდგომარეობა სხვადასხვა ტიპის დასახლებებში განსხვავებულია, ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოფლად. სოფლებში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობას არ გააჩნია სათანადო სველი წერტილები. მსგავსი მოსაზრება ფიქსირდება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაშიც.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნაწილი აღნიშნავს, რომ სკოლის სველი წერტილების ხელმისაწვდომობა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. მაგალითად, სიღნაღისა და თბილისის ერთ-ერთი სკოლიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სკოლაში სველი წერტილები უსაფრთხოა და

---

<sup>6</sup> საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო, გაეროს ბავშვთა ფონდი „წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების კვლევა საჯარო სკოლებში“, 2013 წელი

ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისთვის. სკოლის სველი წერტილები შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. წყლის მიწოდების სისტემა ცენტრალიზებულია და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობაც შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა.

გაეროს ბავშვთა ფონდი 2013 წლის კვლევაში ასევე აღნიშნავს, რომ სკოლების უმრავლესობაში არ ფუნქციონირებდა ცალკე სველი წერტილი გოგონებისა და ბიჭებისათვის. რაც შეეხება ჰიგიენას, კვლევის მიხედვით მხოლოდ ყოველ მეათე საჯარო სკოლაში ფუნქციონირებდა ხელსაბანი. ამ კუთხით მძიმე მდგომარეობა იყო სოფლის სკოლებში. ხოლო, სკოლების გარკვეულ ნაწილში არ იყო საპონი, პირსახოცი, ხელსახოცი და სკოლების დაახლოებით მესამედში ხელსაბანი ტუალეტის ჯიხურთან ან მის ახლოს არ იყო წარმოდგენილი. ამით შესაძლოა აიხსნას გაეროს ბავშვთა ფონდის დაკვირვება, რომ „სკოლების მოსწავლეების ნახევარი ხელს არ იბანდა ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ.“ ეს სურათი შეიცვალა COVID 19 პანდემიის დროს, რადგან ქვეყანაში გაძლიერდა ხელის დაბანის მნიშვნელობის და სწორი მეთოდების სწავლება ასევე, გამკაცრდა აღსრულების კონტროლი, თუმცა კვლევით დადასტურებული ამჟამინდელი მონაცემები არ მოიძებნება.

თემატურ მოკვლევაში მონაწილე სკოლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 86 საჯარო სკოლიდან 9 სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი და ამავე დროს უმეტესობა აღნიშნავს, რომ არ ყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) მოსწავლეები. სკოლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სველი წერტილები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზეა მორგებული. სათანადოდ აღჭურვილია, მოხერხებულია, სრულიადაა განცალკევებული გენდერული სეგრეგაციის ნიშნით, ტუალეტის ჯიხურები პრივატულია და დაცული, უნიტაზები გათვლილია მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფებზე, სველი წერტილები ჰიგიენურია მოხმარებისთვის და ადვილი დასასუფთავებლად. ტუალეტებთან ახლოს მოწყობილია მოხერხებული ხელსაბანები. ტუალეტების სისუფთავე და ტექნიკური

გამართულობის შემოწმება რუტინულად ხორციელდება და მუდმივად ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ორი ადაპტირებული ტუალეტია გათვლილი შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზე.

დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, ნარჩენების მართვისა და სხვა არსებულ ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პერსონალის ინფორმირებულობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინი „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ მოიცავს რამდენიმე რეკომენდაციული ხასიათის ჩანაწერს სკოლის ტერიტორიის დასუფთავებასა და ნარჩენების მართვის შესახებ. კერძოდ, გაიდლაინში მოწოდებულია სკოლის ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავება და ნაგვის განთავსება თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში. სასურველია ნაგვის კონტეინერების დაცლა განხორციელდეს მათი 3/4-ით გავსებისთანავე, რათა არ გადაივსოს და არ მოხდეს ლპობის პროცესის ინიცირება (განსაკუთრებით წლის თბილ სეზონზე), ასევე რეკომენდირებულია ნაგვის კონტეინერების ყოველდღიური რეცხვა-დეზინფექცია.

მოკვლევის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ სკოლის დალაგება-დასუფთავების პროცესში ჩართული არიან დამლაგებლები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სკოლის ადმინისტრაცია და ცალკეულ შემთხვევებში სამედიცინო პერსონალი (სკოლის ექიმი/ექთან). დამლაგებლები უშუალოდ ახორციელებენ წმენდა-დასუფთავების პროცესებს, იყენებენ სხვადასხვა ხსნარებსა და სადეზინფექციო საშუალებებს. ამ საშუალებების გამოყენების შესახებ მათ ინფორმაციას აწვდის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და ზოგჯერ სამედიცინო პერსონალი, იშვიათად ადმინისტრაციული პერსონალი. ზოგიერთი სკოლა

აღნიშნავს, რომ მიწოდებული ხსნარების გამოყენების შესახებ დალაგებაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას აწვდის მიმწოდებელი.

სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სკოლის დალაგებაზე პასუხისმგებელი პირები ინფორმირებულები არიან დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარებისა და ნარჩენების მართვის წესებზე. ნაწილი აღნიშნავს, რომ ეს პროცესი სკოლებში გამართულად მიმდინარეობს. გაეროს ბავშვთა ფონდის დაკვირვებით აღნიშნული საკითხი გაუმჯობესდა COVID 19 პერიოდში, როდესაც სკოლის პერსონალს უტარდებოდა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად დამაკმაყოფილებელი ზოგადი სურათისა, რაც მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა, რამდენიმე სკოლა აღნიშნავს, რომ არ არიან დარწმუნებული დალაგებაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირებულობის ხარისხში და ამატებენ, რომ კარგი იქნებოდა დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, მაგალითად, რომელი ხსნარის გამოყენებაა უმჯობესი დალაგების პროცესში.

ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტის კითხვარიდან ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლის დალაგება-დასუფთავების პროცესში ჩართული პირების უფლება-მოვალეობები გაწერილია დასაქმებულთა ხელშეკრულებებში. რამდენიმე სკოლამ აღნიშნა, რომ აქვთ წინასწარ გაწერილი გეგმა-გრაფიკი შიდა და გარე ტერიტორიის დასუფთავებისთვის, რომლის გაწერისას ზოგიერთი ითვალისწინებდა N01-40/ო ბრძანებით დადგენილ გაიდლაინს, ან რეკომენდაციებს ჯანდაცვის ადგილობრივი ცენტრიდან.

რამდენიმე სკოლის მიერ წარდგენილ პასუხებში ცალსახად ჩანდა, რომ გათვითცნობიერებული იყვნენ დალაგება-დასუფთავების, გამოსაყენებელი ხსნარებისა და ინვენტარის გამოყენების წესებისა და ნარჩენების გატანის პროცედურების შესახებ. მათი პასუხები ზუსტად ეხმიანებოდა N01-40/ო გაიდლაინით მოწოდებულ რეკომენდაციებს. რამდენიმე დიდკონტიგენტთან სკოლას, რომელთა დალაგებაზე პასუხისმგებელი იყო 3-5 დამლაგებელი,

სექციებად ჰქონდათ დაყოფილი სკოლის ტერიტორია და თითოეული პირი პასუხისმგებელი იყო მისი სექციის სისუფთავესა და ნარჩენების გატანაზე.

მოკვლევის ფარგლებში შემოსული ინფორმაციით არ დგინდება, თუ როგორ ხდება გამოყენებული წყლის მოცილება/არინება იმ სკოლებში, რომლებიც არ სარგებლობენ ცენტრალიზებული წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემით. თუმცა ასევე საფიქრელია, რომ სკოლებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი რესურსი ან საჭირო დაგეგმარება გამოყენებული წყლის მოცილებასა და მისი უსაფრთხოდ გადატანის თაობაზე.

### ცხოველებისა და მწერების მიზეზით განპირობებული დაავადებების პრევენციისთვის სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურა

ჯანმრთელი სასკოლო გარემოს ერთ-ერთ კომპონენტს მიეკუთვნება - დაცვა ბიოლოგიური საფრთხეებისგან, რომელთა შორისაა დაცვა მწერებისგან, მღრღნელებისგან, შხამიანი ქვეწარმავლებისგან, ცხოველებისგან, რომლებიც შესაძლოა იყვნენ სხვადასხვა დაავადებების გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები. აგრეთვე, საფრთხის შემცველია ცხოველის ბეწვი, თმა, ექსკრემენტები, ფრინველის ბუმბული, ბუდის ნაწილები, მწერების კვერცხები, ლარვები და თავად სხვადასხვა მავნებლების სხეულის ნაწილებიც კი, რომლებიც შესაძლოა გახდეს ბავშვთა მიერ გამოყენებული ნივთების, სურსათის და სხვა ობიექტების დაბინძურების საფუძველი. სკოლამ უნდა უზრუნველყოს ადეკვატურ ღონისძიებათა განხორციელება მავნებლების გაკონტროლების მიზნით, რომელთა შორის, მნიშვნელოვანია სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურა.

მავნებლებისა და მწერების პრევენციის მიზნით, არსებობს პროფილაქტიკის ორი ძირითადი გზა:

- შეღწევადობის შეზღუდვა;
- მავნებლებისთვის საკვებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.



ინფრასტრუქტურული ინდიკატორები, რომელზეც ასეთ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს, მოიცავს:

- ტერიტორიის დაცულობას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ზოგიერთი მავნებლის შეღწევის დაბლოკვას;
- ტერიტორიის შენარჩუნებას სათანადო დონეზე (მაგ. მაღალი ბალახისგან მათ გაწმენდას);
- შენობის მდგომარეობას და დაცულობას (ფანჯრების ან კარების მდგომარეობას, მავნებლებისთვის ხელმისაწვდომი სხვა ღიობების და ხვრელების არსებობის აღკვეთას);
- ნარჩენების მართვისთვის შესაბამის სტაციონარულ ობიექტებს და მართვის სანიმუშო პრაქტიკას;
- მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებებისთვის სპეციალური სათავსების არსებობას.<sup>7</sup>

გარდა ინფრასტრუქტურული ინდიკატორებისა, მნიშვნელოვანია ასევე:

- ობიექტზე, მავნებლების მართვის პროგრამების ან გეგმების არსებობა;
- მავნებლების გავრცელებაზე მონიტორინგი და ზედამხედველობა;
- მავნებლების განადგურებისთვის, შემცირებისთვის ან პრევენციისთვის პროფესიული დეზინსექციისა და დერატიზაციის მომსახურების მიღების შესაძლებლობები ამ სფეროში ფუნქციონირებადი ბიზნესოპერატორებისგან.<sup>8</sup>

ყველა ზემოთ მითითებული ინდიკატორის უზრუნველყოფი ღონისძიება უნდა განხორციელდეს იმ სახით, რომ არ შეექმნას საფრთხე სასკოლო ნივთების, ზედაპირების, სურსათის და აღჭურვილობის სათანადო დონეზე სანიტარიულ მართვას და თანამშრომლების უსაფრთხოებას.

---

<sup>7</sup> EPA/735-F-17-004 | May 2017/ PEST CONTROL IN THE SCHOOL ENVIRONMENT;

<sup>8</sup> Codex Alimentarius/ CXC 1-1969/ „სურსათის ჰიგიენის ზოგადი პრინციპები“.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სკოლებიდან მიღებულ იქნა ინფორმაცია, რომელიც იძლევა საშუალებას შეფასდეს საქართველოს სკოლებში ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტში დასმული საკითხის მხრივ არსებული მდგომარეობა.

ტერიტორიის დაცულობაზე, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ზოგიერთი მავნებლის შეღწევის შეზღუდვას და ტერიტორიის სათანადო დონეზე შენარჩუნებაზე (მაგ. მაღალი ბალახისგან მათ გაწმენდა) აქცენტი გააკეთა თემატურ მოკვლევაში მონაწილე სკოლების მცირე ნაწილმა. თუმცა, ერთ შემთხვევაში სკოლა ითხოვდა დახმარებას ეზოს მიმდებარე, გარე დაჭაობებული პერიმეტრის მოწესრიგებისთვის. მიუხედავად ტერიტორიის მოვლისთვის მათ მიერ გატარებული ღონისძიებებისა, იგი საფრთხის შემცველია მოსწავლეებისა და მომუშავე პერსონალისთვის.

გარე კონტეინერებისა და მათ დროულ გატანაზე სწორი აქცენტები გაკეთდა გამოკითხული სკოლების 6%-ის მიერ, ხოლო ზოგიერთმა სკოლამ, ყურადღება გაამახვილა მხოლოდ შენობის შიგნით არსებული ურნების დროულ დაცლასა და მათი სისუფთავისთვის განხორციელებულ ღონისძიებებზე (გამოკითხული სკოლების 4%).

რაც შეეხება შენობის დაცულობას, ამ მხრივ მიღებული პასუხებიდან, ძირითადი აქცენტები გადატანილი იყო არა ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებზე, არამედ სხვა ღონისძიებებზე. კერძოდ, სკოლების მცირე რაოდენობისგან იქნა ინფორმაცია მიღებული, ფანჯრებზე ბადეების არსებობაზე, რაც არის შენობაში მწერების, ფრინველებისა და მავნებლების შეღწევის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება. აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ხორციელდება მავნებლებზე ვიზუალური მონიტორინგი, რაც მეტად მნიშვნელოვანი პირობაა მათგან მომდინარე საფრთხეების მართვის თვალსაზრისით.

დანარჩენ შემთხვევაში ძირითადი აქცენტები გაკეთდა:

- სისუფთავეზე, სველი წესით დასუფთავებაზე (6%);
- დალაგების წესების არსებობაზე (3%) ან დამლაგებლის ინსტრუქტაჟზე (1%);

- საკლასო ოთახების განიავებაზე (3%).

სკოლების ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ განხორციელებული აქვთ ან/და პერიოდულად ახორციელებენ ან/და საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ განახორციელონ გარე პროვაიდერთან ხელშეკრულების საფუძველზე სკოლებში დერატიზაცია-დეზინსექციის სამუშაოები.

სკოლები გამოთქვამენ შეშფოთებას მიუსაფარ შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით - „გვაშფოთებს უპატრონო და მიუსაფარი ძაღლების თემა, რადგან უპასუხისმგებლო ადამიანები სოფლის ცენტრში და სკოლის წინ ხშირად უპატრონოდ ტოვებენ ძაღლებს, ლეკვებს, კნუტებს, რაც მოსწავლეთა ემოციებზე ახდენს გავლენას“<sup>9</sup>, „ცხოველები ადვილად აღწევენ სკოლის ეზოში, რაც, თავისთავად, საფრთხის შემცველია“, „მშობლებთან კომუნიკაციის გზით და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან კომუნიკაციით“ ისინი ცდილობენ აირიდონ მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებული საფრთხეები. რა თქმა უნდა არსებული პრობლემების გადაწყვეტა საჭიროებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მჭიდრო ჩართულობას.

ასევე, უნდა აღინიშნოს ცხოველებისა და მწერების მიზეზით განპირობებული დაავადებების პრევენციისთვის სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პასუხების მხრივ შეუსაბამოებები და პრობლემები. კერძოდ:

- აღსანიშნავია, რომ ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა გამოკითხული სკოლების 36%-მა, რაც ბადებს ვარაუდის საფუძველს, რომ მათთვის შესაძლოა არ იყო ცნობილი ის ინდიკატორები, რომელიც საშუალებას მისცემდათ წარმოედგინათ არგუმენტირებული პასუხები;
- სკოლების 16%-გან მიღებული იქნა მხოლოდ ზოგადი, არაარგუმენტირებული ინფორმაცია სკოლებში არსებული სანიტარიული ინფრასტრუქტურის შესაბამისობაზე ან შეუსაბამობაზე, 2%-გან - გამოცდილების უქონლობაზე, რაც ასევე ბადებს ზოგადი ეჭვის საფუძველს,

<sup>9</sup> სსიპ- აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა

რომ ისინი არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას ცხოველებისა და მწერების მიერ გავრცელებადი დაავადებების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ან სხვა ღონისძიებების თაობაზე;

- კრიტერიუმების არცოდნას ასევე მიუთითებდა ის ფაქტი, რომ დერატიზაცია/დეზინსექციის ნაცვლად, სკოლიდან შემოსული ინფორმაცია მოიცავდა დეზინფექციის პროცედურებზე აპელირებას (13%-ში), ხოლო ინფორმაციის მომწოდებელთა 3% - აღნიშნული კითხვის პასუხად, აღწერდა სასმელ წყალთან დაკავშირებულ მდგომარეობას.

## წყალი

წყალზე ადამიანის უფლება აღიარებულია არაერთი ეროვნული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ყველაზე დეტალური და ყოვლისმომცველი განმარტება წარმოდგენილია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, 1966 წელს მიღებული „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-15 ზოგად კომენტარში, რომლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს საკმარისი ოდენობის, უსაფრთხო, ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი წყალი, როგორც პირადი, ისე საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის“. წყალზე ადამიანის უფლების რეალიზების ფორმა უნდა იყოს მდგრადი და ქმნიდეს არსებული და მომავალი თაობების უფლების რეალიზების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სიტუაციაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, წყალის ადეკვატური მოხმარება შესაძლებელია განსხვავებული იყოს, ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

**წყლის არსებობა** - წყალმომარაგება უნდა იყოს უწყვეტი და მოხმარებული წყლის რაოდენობა პირადი და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საკმარისი;

**ხარისხი**-თითოეული ადამიანის მიერ მოხმარებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო;

**ხელმისაწვდომობა** - წყალი და წყალმომარაგების სისტემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ხელმისაწვდომობა მოიცავს შემდეგ ოთხ ასპექტს:

1. ფიზიკური ხელმისაწვდომობა;
2. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა;
3. არადისკრიმინაციულობა;
4. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

პაქტის ამ განმარტების თანახმად, წყალი, უპირველეს ყოვლისა, განსახილველია, როგორც სოციალური და კულტურული სიკეთე და არა როგორც ეკონომიკური სარგებლის წყარო.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, ევროპის რეგიონში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სასმელი წყლით უზრუნველყოფა მცირე წყალმომარაგების სისტემების საშუალებით ხდება. აღნიშნული სისტემებით უვნებელი და ხარისხიანი წყლის მიწოდება რთული ამოცანაა, რამდენადაც ეს სისტემები ნაკლებად დაცულია დიდ, ცენტრალიზებულ სისტემებთან შედარებით. შესაბამისად, მაღალია დიარეული დაავადებებისა და წყლის ფაქტორით განპირობებული არაგადამდები დაავადებების აღმოცენებისა და გავრცელების რისკი. ამიტომაც, ნებისმიერ ქვეყანაში, მცირემასშტაბიანი წყალმომარაგების სისტემების ადმინისტრირება, მართვის ასპექტები და არსებული რეზერვების ეფექტურად გამოყენება, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. მსოფლიოში დაავადებათა გლობალური ტვირთის სიდიდით მეორე და მნიშვნელოვანი ნაწილი დიარეით მიმდინარე დაავადებებია, რომელთა 88% წყალმომარაგების სისტემების ეფექტური ფუნქციონირების დროს, თავიდან აცილებადია.

ამ მიზნით, 2004 წელს WHO-მ შეიმუშავა უვნებელი სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის ეფექტური მიდგომები, სახელმძღვანელო მასალების „წყლის უსაფრთხოების გეგმის (წუგ)“ სახით. იგი წყალმომარაგების პროცესზე ორიენტირებული დაკვირვების პროცესია და მიზნად ისახავს წყალმომარაგების

ყველა ეტაპზე, „წყალალებიდან მომხმარებლამდე“, შესაძლო რისკების გამოვლენას, შეფასებასა და შესაბამისი ღონისძიებების დასახვით, ამ რისკების შემცირებასა და თავიდან აცილებას.

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობას საჯარო სკოლებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. წყლის საბაზისო რაოდენობები მოცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებულ „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციაში (გაიდლაინი, 2020 წ.), სადაც აღნიშნულია, რომ უნდა იყოს მუდმივი ხელმისაწვდომობა საკმარისი რაოდენობის წყალზე სასმელად, პირადი ჰიგიენისათვის, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისა და რეცხვისათვის.

წყლის რეკომენდებული რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

- სასმელი წყალი - 5 ლიტრი დღეში ერთ პირზე გადაანგარიშებით (ყველა ბავშვი და დაწესებულების სრული პერსონალი);
- სამეურნეო დანიშნულების წყალი ტუალეტებისათვის (რომელიც მიერთებულია ცენტრალური წყალმომარაგების სისტემასთან ან წყლის ავზთან) - 10-20 ლიტრი დღეში ერთ პირზე გადაანგარიშებით;
- სამეურნეო დანიშნულების წყალი ტუალეტებისათვის (რომელიც არაავტომატურად ირეცხება თავად მომხმარებლის მიერ) - 3-5 ლიტრი დღეში ერთ პირზე გადაანგარიშებით.

საჭიროებისამებრ რეკომენდებულია თითოეულ მოსწავლეს მიეცეს საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლი სკოლაში ტარების მიზნით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს დღის განმავლობაში მოსწავლის მიერ ბოთლის ხარისხიანი სასმელი წყლით შევსების შესაძლებლობა - ონკანიდან, ჭიდან, სასმელი წყლის ავზიდან ან დისპენსერიდან. სასმელი წყლის უსაფრთხოებისა და უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით,

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელმისაწვდომობას როგორც წყალზე, ასევე წყალმობიარების ტექნიკურ საშუალებებზე, რაც გულისხმობს სკოლის უზრუნველყოფას საკმარისი რაოდენობის სასმელი წყლის წერტილებით და წყალმობიარების სხვა საშუალებებით. სათანადოდ აღჭურვილი წყალმობიარების წერტილები, თხევადი საპონით და ხელის გასამშრალეელი ერთჯერადი ხელსახოცებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო დაწესებულების ყველა სველ წერტილსა და სამზარეულოში. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისაც.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების მიხედვით, ადამიანს უნდა მიეწოდებოდეს ხარისხიანი, საკმარისი რაოდენობით სასმელი წყალი, უწყვეტად. თუ ამ მოთხოვნებიდან ერთ-ერთი კომპონენტი ამოვარდა, შესაძლებელია გაიზარდოს ადამიანის ჯანმრთელობაზე წყლის ფაქტორით გამოწვეული სხვადასხვა რისკები. სასმელი წყალი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი კატეგორიის წყლისათვის დადგენილ სტანდარტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებისა და მოზარდებისათვის უსაფრთხო, უვნებელი სასმელი წყლის მიწოდებას.

სასმელ წყალს წაეყენება შემდეგი ჰიგიენური მოთხოვნები: ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით უნდა იყოს კეთილხარისხოვანი, კერძოდ, უფერო, უსუნო, ყოველგვარი უცხო გემოს გარეშე, ჰქონდეს გამაგრილებელი ტემპერატურა. მასში არ უნდა აღინიშნებოდეს თვალით შესამჩნევი ქვიშის, თიხის ნაწილაკები ან ფიფქები. ზედაპირზე არ უნდა იკეთებდეს აპკს და ფსკერზე არ უნდა გამოილექოს ნალექი. ამ მაჩვენებლებმა არ უნდა გამოიწვიოს უარის თქმა სასმელი წყლის მოხმარებაზე.<sup>10</sup>

---

<sup>10</sup> „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება

თემატური მოკვლევების ფარგლებში შემოსული მოსაზრებებში იკვეთება, რომ მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სუფთა, უსაფრთხო, საკმარისი რაოდენობის სასმელი წყლით. მოკვლევაში მონაწილე პირები ეყრდნობიან ემპირიულ მოსაზრებებს და აღნიშნავენ, რომ განთავსებული აქვთ დისპენსერები.

ზოგიერთი სკოლა, სადაც არ არის ცენტრალიზებული წყალმომარაგება, განიცდის წყლის დეფიციტს, რაც კომპენსირდება ჭების წყლით და აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებულები არიან მოსწავლეები/მათი მშობლები. ამასთანავე, სკოლის მხრიდან გაცემულია რეკომენდაცია მარკირებული ბოთლებით სახლიდან მოტანილი სასმელი წყლით სარგებლობასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ მაღალმთიან ზონაში მდებარე ზოგიერთ სკოლაში, გარე პერიმეტრზეა მოწყობილი მოძველებული წყლის სისტემები. ზამთარში პერიოდულად ხდება მიწებში წყლის გაყინვა. ასეთ შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სარგებლობენ სამარაგო ავზების წყლით, რომელიც სასმელად არ არის რეკომენდებული.

სკოლების გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ ისინი სარგებლობენ სოფლის წყალსადენით, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. ასევე აღნიშნავენ, რომ სოფელი მარაგდება მთებიდან გამოყვანილი სასმელი წყლით, რომელიც სუფთა და უსაფრთხოა, რასაც ხსნიან იმ ფაქტით, რომ წლების განმავლობაში არ ყოფილა წყლისგან დაინფიცირების შემთხვევა.

მთელ რიგ საჯარო სკოლებს, სასმელი წყლის უზნებლობის უზრუნველყოფის მიზნით, აქვთ სამარაგო რეზერვუარები. ისინი აღნიშნავენ, რომ აწარმოებენ რეზერვუარების რეცხვას, ხოლო რეცხვა-დეზინფექციის დამადასტურებელი დოკუმენტები მითითებული არ აქვთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იმ სკოლების სასმელი წყლების უზნებლობის საკითხები, რომლებიც სარგებლობენ ჭების წყლებით. ისინი მიუთითებენ, რომ ხარისხი მოწმდება, მაგრამ ვარაუდობენ, რომ შეიძლება ეს მექანიზმი საკმარისი არ არის ჭის წყლისათვის, რადგან მათი აზრით შეიძლება მარტივად მოხდეს დაბინძურება.



თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ზოგადი განსხვავება ქალაქსა და სოფლებში უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის კუთხით. ზოგიერთი საჯარო სკოლა აღნიშნავს, რომ დიდ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებებში არსებული სკოლებისათვის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა უფრო კარგად არის ორგანიზებული, რადგან მარაგებიან ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემით (წყალსადენებით), შედარებით გამართულია საკომუნიკაციო ქსელები, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, სისტემატიურად ხდება წყლის გაუსნებოვნება (დაქლორვა და სხვა მეთოდები) და წყლის ხარისხის კონტროლი სოფლებთან შედარებით, რომლებიც სარგებლობენ მცირემასშტაბიანი წყალმომარაგების სისტემებით.

სასმელი წყლის ინფრასტრუქტურისა და სანიტარიის საშუალებები და მათ მოვლა პატრონობაზე გამოყოფილი რესურსები, საშუალებას აძლევს სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს, გამოიმუშაონ ის პრაქტიკული ჰიგიენური უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს შეუწყობს გადამდები დაავადებების თავიდან აცილებას მარტივი და მოხერხებული გზით.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ასევე დიდი ქალაქების კომპანიები უზრუნველყოფს წყლის უვნებლობის შემოწმებასა და მონიტორინგს, ასევე საკუთარი აბონენტების ინფორმირებას. სკოლისათვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი ხორციელდება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით განსაზღვრული წესით. დადგენილების შესაბამისად, სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ადმინისტრაციის მიერ უნდა ხორციელდებოდეს იმ სასმელი წყლის გაუვნებელოება, რომელიც დაუცველი წყაროდან მოეწოდება.

სკოლის ინფრასტრუქტურა გამოყენებული უნდა იქნეს ინტერაქტიური სწავლების ბაზად წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული განათლების მისაწოდებლად, რაც უაღრესად ეფექტურ

ინსტრუმენტს წარმოადგენს. სკოლის მოსწავლეებს უნდა გააჩნდეთ ცოდნა წყლის ინფრასტრუქტურაში შემაჯავალი სათავსების სწორად მოხმარების წესების შესახებ.

კვლევაში ჩართული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სასმელი წყლის ინფრასტრუქტურაში ძირითადად მოიაზრებენ ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემებს, სკოლაში განთავსებულ დისპენსერებს და სასმელი წყლის წერტილებს (ონკანებს), ჭაბურღილებს, ჭებს. ამასთანავე, კვლევის ფარგლებში განხორციელებულ შეხვედრებზე აღინიშნა, რომ იმ სკოლების ინფრასტრუქტურა, რომლებიც წყლით მარაგდებიან ცენტრალიზებული წყალსადენის სისტემით, გამართულია.

სკოლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ აქვთ გამართული ინფრასტრუქტურა: წყალგაყვანილობა, დისპენსერები, სამარაგო ავზები, სასმელი წყლის წერტილები და სხვა.

იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სადაც სარგებლობენ ჭის წყლით, არ დგინდება ჭების ინფრასტრუქტურისა და მოვლა-პატრონობის ხარისხი, გამოყენების წესები შეესაბამება თუ არა ნორმატიული აქტით - გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ-ით დამტკიცებულ წესებს და ტექნიკური რეგლამენტით „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში“ დადგენილ წესებს.

სასკოლო თემის წარმომადგენლების ინფორმირებას სასმელი წყლის მიღებასა და აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდთა განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში.

თემატური მოკვლევის ფარგლებში შემოსული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ მოზარდთა განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში სასმელი წყლის მიღების მნიშვნელობაზე საქართველოს საჯარო სკოლებში სხვადასხვა მეთოდებით ხდება სასკოლო თემის ინფორმირება.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნაწილში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების „კლუბები“. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება „ეკოკლუბებზე“, რომლებიც სხვადასხვა საგნობრივ კურიკულუმებთან (საბუნებისმეტყველო საგნები) ერთად, ინფორმაციას აწვდის სასკოლო საზოგადოებას მოზარდთა განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში სუფთა სასმელი წყლის მიღების მნიშვნელობაზე. ამ მიმართულებით „კლუბები“ ახორციელებენ ეკოპროექტებს, აწყობენ შეხვედრებს, გამოკითხვებს, პრეზენტაციებს, ამზადებენ კედლის გაზეთებს და სხვადასხვა საინტერესო აქტივობას. მაგალითისათვის, ერთ-ერთ საჯარო სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასთან სახელწოდებით „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება მრავალი აქტივობა (საუბრები, პოსტერების დარიგება მოსწავლეებისა და მოსახლეობისთვის, ნახატების კონკურსი და სხვა).

მოკვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი საჯარო სკოლა აღნიშნულ თემებზე განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას, ხოლო სკოლათა ნაწილში მიმდინარეობს ზოგადი საუბრები ფორმალურ ან/და არაფორმალურ გარემოში.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებულ მოქმედებებში აქტიურად არიან ჩართულები სკოლის ექიმები/ექთნები. ისინი კლასის დამრიგებლებთან, სხვადასხვა საგნების, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნების, მასწავლებლებთან, სკოლის მოსწავლეებთან და სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ახორციელებენ პროექტებს და აწვდიან ინფორმაციას სასკოლო თემს სასმელი წყლის როლსა და დანიშნულებაზე, უვნებლობაზე, ეკონომიურ ხარჯვასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

მოკვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საჯარო სკოლების უმრავლესობა ინფორმირებულია ზემოაღნიშნულ საკითხებთან

დაკავშირებით. თუმცა, მათი წარმომადგენლები არ აკონკრეტებენ რა გზებით, ვისი მონაწილეობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და როგორია სასკოლო თემის როლი ამ საკითხებზე ინფორმირებაში, ინფორმაციის გავრცელებაში. საინტერესოა, ერთ-ერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აღნიშნავს, რომ სკოლაში სასმელი წყლის გამოყენებასა და მის ნორმირებულ მიღებასთან დაკავშირებული რაიმე ჩამოყალიბებული წესით არ საგებლობენ. ზოგიერთი სკოლის პერსონალი და მოსწავლეები აღნიშნულ საკითხებზე ინფორმირების მიზნით უყურებენ ტელევიზიის სხვადასხვა არხებზე სამედიცინო თემატიკაზე არსებულ გადაცემებს და ამ გზით იღებენ ინფორმაციას, ხოლო სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების ინფორმირებისთვის გამოიყენება სპორტის ან/და ბიოლოგიის გაკვეთილები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ხშირად არის ზოგადი, ფრაგმენტული, მწირი, არ არის განმარტებული ინფორმაციის მოპოვების წყარო ან არაზუსტია ინფორმაციის გავრცელების და მასზე ხელმისაწვდომობის გზები. აღნიშნული არ იძლევა სრულყოფილ და საფუძვლიან ცოდნას მოზარდთა განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში სასმელი წყლის მნიშვნელობაზე სხვადასხვა ასპექტებით, სასმელი წყლის მიღების წესზე და იმ რისკებზე, რაც დაკავშირებულია არა მარტო არასათანადო რაოდენობისა და უხარისხო სასმელი წყლის მიღებასთან დაკავშირებით, არამედ ინფორმაციის ნაკლებ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებითაც. მოკვლევამ ცხადყო, რომ წარმომადგენლები არ ფლობენ ინფორმაციას და არ ხდება ინფორმაციის ურთიერთგაზიარება.

### ჰაერი

დაბინძურებული ჰაერი სიკვდილიანობის გამომწვევი ყველაზე დიდი გარემოსდაცვითი რისკია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამ პრობლემას „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საგანგებო სიტუაციას“ („Public Health

Emergency”) უწოდებს<sup>11</sup>. ჰაერის დაბინძურებამ ადამიანის ჯანმრთელობაზე შეიძლება მწვავე ან/და ქრონიკული ეფექტი იქონიოს. როგორც წესი, მწვავე ეფექტი ვლინდება მაშინვე და, ხშირ შემთხვევაში, შექცევადი პროცესია მას შემდეგ, რაც დამაბინძურებლის მოქმედება შეწყდება. ქრონიკული ეფექტები, უმეტესად, დაუყოვნებლივ არ ვლინდება და ხშირად დამაბინძურებლების ზემოქმედების დასრულების შემდეგ შექცევადი არ არის.<sup>12</sup>

ჰაერის ტოქსიკური დამაბინძურებლების გრძელვადიანი ზემოქმედების შედეგად თავს იჩენს ქრონიკული ეფექტი, რისი მაგალითიცაა ფილტვის მოცულობის შემცირება და ფილტვის კიბო. ჰაერის დაბინძურების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების სამეცნიერო ტექნიკა მოიცავს ჰაერის დაბინძურების მონიტორინგს, დამაბინძურებლის მოქმედების შეფასებას, დოზიმეტრიას, ტოქსიკოლოგიას და ეპიდემიოლოგიას. დაბინძურებული ჰაერი გავლენას ახდენს კანზე, თვალზე და სხვა სისტემებზე, თუმცა, განსაკუთრებით მავნე ზემოქმედებას ახდენს სასუნთქ სისტემაზე.<sup>13</sup>

მოკვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობაში ჰაერის სისუფთავის დაცვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია. კვლევაში მონაწილე სკოლები აღნიშნავენ, რომ მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები იგეგმება ზაფხულში არდადეგებზე. თუმცა ეს არ იძლევა საერთო სურათის დანახვის შესაძლებლობას. მიღებული მოსაზრებების ავტორთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ შენობა აღჭურვილია თანამედროვე ვენტილაციის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის მუდმივ მოწოდებას. ისინი ასევე ახორციელებენ ინფრასტრუქტურის რეგულარულ შემოწმებას, მისი ეფექტურობის და უსაფრთხოების შემოწმების მიზნით. გარდა

<sup>11</sup> The Guardian, Shock figures to reveal deadly toll of global air pollution, 16 January 2016, მოძიებულია 28 მარტი 2019 ბმულიდან <https://bit.ly/29iYBPS>

<sup>12</sup> ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი, მოძიებულია 29 მარტი 2019 ბმულიდან <http://air.gov.ge/pages/13/13>

<sup>13</sup> საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში/ თემატური მოკვლევა #ECI-19/01/გვ.31

ამისა, სკოლა აკმაყოფილებს ჰაერის ხარისხის ყველა შესაბამის რეგულაციას და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ არის იდენტიფიცირებადი თუ რამდენად ხდება სკოლებში სითბურ-საჰაერო რეჟიმის კონტროლი, მ.შ. ფარდობითი ტენიანობის კონტროლი, აერაციის რეჟიმის დაცვა წლის სხვადასხვა დროს, შიდა სათავსების ტემპერატურული რეჟიმების დაცვა გათბობის სხვადასხვა ტიპის სისტემების არსებობისას და ა.შ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სკოლის შენობაში ჰაერის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების გამოყენება. აღნიშნულ საკითხზე პასუხი მიღებულია 61 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რაც გამოკითხული სკოლების საერთო რაოდენობის 68%-ს შეადგენს. სკოლების უმრავლესობა პრევენციულ ღონისძიებად მიიჩნევს საკლასო ოთახების და დერეფნების ბუნებრივ ვენტილაციას, რომელიც დღის განმავლობაში რამდენჯერმე ტარდება, ასევე, საკლასო ოთახების სველი წესით დასუფთავებას და ნარჩენების დროულ გატანას. ხოლო, ქიმიური საშუალებებით დასუფთავება ხდება მაშინ როდესაც მოსწავლეები სკოლის შენობაში არ იმყოფებიან.

თემატური მოკვლევის ფარგლებში, სკოლების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სუფთა ჰაერის მნიშვნელობაზე, მოზარდთა განვითარებასა და მათი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. სკოლებს აქვთ ჩამოყალიბებული სხვადასხვა მიმართულების კლუბები, სადაც ეწყობა აქტივობები იმ მიზნით, რომ მოხდეს სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სუფთა ჰაერის მნიშვნელობაზე, მოზარდთა განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში. სუფთა ჰაერის მნიშვნელობაზე მოსწავლეების ინფორმირება ხდება ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის თუ სხვა საგნის პედაგოგების, ასევე სკოლის ექიმის მიერ. სკოლის შენობაში გამოკრულია საინფორმაციო პოსტერები, აქვთ შეხვედრები ბუნების დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ასევე, რამდენიმე სკოლის პერსონალმა გაიარა ტრენინგი „გარემოს დაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“, სადაც მათ მიიღეს

ინფორმაცია ჰაერის დაბინძურების გამომწვევ ფაქტორებზე და მათ გავლენაზე მოზარდთა ჯანმრთელობაზე. მაღალმთიან რეგიონებში მდებარე სკოლები აღნიშნავენ მაღალი მთის სუფთა ჰაერის მნიშვნელობას, რაც განპირობებულია, რომ მათ სოფლებში არ არის ქარხანა, კარიერი, ნაგავსაყრელი ან/და სხვა ტიპის ისეთი დაწესებულებები/საწარმოები, რომელიც გამოიწვევს ჰაერის მასშტაბურ დაბინძურებას. თუმცა სკოლების მცირე ნაწილი ჰაერის დაბინძურების მიზეზად ახლოს მდებარე ქარხნებს და უხარისხო შენობებს ასახელებენ, რაც შესაძლებელია დაავადებების მატების მიზეზი გახდეს.

პანდემიიდან გამომდინარე, სკოლის პერსონალი და მოსწავლეები კარგად იცნობენ ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები დაავადების თავიდან არიდების მექანიზმებს. პანდემიის დასრულების შემდგომაც ექიმები/ექთნები აგრძელებენ ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდებ დაავადებებზე სხვადასხვა თემატური სავარჯიშოების სწავლებას, კერძოდ, კლასებში შეაქვთ მცირე ვიდეო აღნიშნული დაავადებების თავიდან არიდების თაობაზე, ასევე, ახორციელებენ შეხვედრებს მშობლებთან და მასწავლებლებთან ინფორმირების მიზნით და გასცემენ რეკომენდაციებს ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ღონისძიებების მართვის შესახებ.

თემატური კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის დირექცია, კლასის დამრიგებლები, პედაგოგები, სპეციალური მასწავლებლები, სსსმ მოსწავლის ასისტენტები, სკოლის ექიმი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მოსწავლის მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულები არიან ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები დაავადებების შესახებ და მუდმივად ახორციელებენ პრევენციულ ღონისძიებებს დაავადების თავიდან არიდების და რისკების თავიდან აცილების მიზნით. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები დაავადებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შეხვედრების, პრეზენტაციების, სასკოლო პროექტების, კლასის საათების და სკოლის ექიმის რეკომენდაციების სახით.

ამგვარად, სკოლაში აუცილებელია დაინერგოს შენობის შიდა ან/და ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ორგანიზმების

(მაგალითად როგორცაა დაავადების გამომწვევი ბაქტერიები და ვირუსები, ობი და სოკო, საშენი მასალების ნაწილაკები, პესტიციდები, დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური პროდუქტის, სასკოლო ავეჯისა და თვალსაჩინოებანის შემადგენლობაში შემავალი და ფოტოკოპირების დანადგარების მუშაობის თანმხლები აქროლადი ქიმიური ნივთიერებები და შენობაში გარედან შემოდრეული ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებლები და სხვა) პრევენციული ღონისძიებები.

## სკოლის ექიმი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2021 წელს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, იღებს ზომებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირებისთვის, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის უზრუნველყოს შესაბამისი პირობების შექმნა.

ზემოხსენებულის შესაბამისად, დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესახებ“.

სკოლის სამედიცინო პერსონალის განაწილების პრინციპი განისაზღვრება მოსწავლეთა რაოდენობისა და სასწავლო შენობების მიხედვით.



დიდკონტიგენტთან სკოლებში სამედიცინო პერსონალის არსებობა სავალდებულოა, ხოლო სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა განსაკუთრებით მცირეა, მაგალითად, მაღალმთიან სოფლებში, დასაშვებია სამედიცინო მომსახურების, სანიტარია-ჰიგიენისა და ჯანმრთელობითი განათლების სერვისების მიწოდების ალტერნატიული გზები, როგორც არის სოფლის ექიმის მომსახურება, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ტერიტორიული სიახლოვის პრინციპით, შესაძლებელია შეირჩეს ორი სკოლა, სადაც თითოეულში მოსწავლეთა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია და აღნიშნული სკოლების გაერთიანებას მოემსახუროს ერთი ექთანი/ექიმი, რომელიც დადგენილი პერიოდულობით (მორიგეობით) განახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას კვირის დღეების მიხედვით შედგენილი გრაფიკის ან სკოლებში არსებული საჭიროებების შესაბამისად.

სკოლის ექიმი:

- იცავს სკოლაში მოსწავლის ჯანმრთელობას;
- ახდენს დაკვირვებას მოსწავლის ზრდა განვითარებაზე ასაკის შესაბამისი რისკების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას სპეციალისტთან;
- ატარებს დაავადებების საწინააღმდეგო პრევენციულ ღონისძიებებს;
- აწარმოებს მოსწავლეების ქრონიკული დაავადებების მართვას სკოლაში;
- ახორციელებს პირველადი დახმარების ღონისძიებებს მოსწავლეების და სკოლის პერსონალისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე.
- სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად მონიტორინგს უწევს წყალს, სანიტარია/ჰიგიენას და კვების ბლოკის ფუნქციონირებას კანონის და რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად.
- ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას.

თემატურ მოკვლევაში მონაწილეობდა 86 საჯარო სკოლა. აქედან 78 სკოლაში (90.6%) არის სამედიცინო პერსონალი, ხოლო 8 სკოლაში - 9.3 % არ არის სამედიცინო პერსონალი.

78 სკოლის სამედიცინო პერსონალს მნიშვნელოვნად მიაჩნია და ჩართულია მოსწავლეების და სკოლის ჰიგიენური ნორმების დაცვაში. პერიოდულად ტარდება გაკვეთილები და საუბრები მოსწავლეებში სანიტარიულ ჰიგიენურ ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. ყველა სკოლა, სადაც არის სამედიცინო პერსონალი, აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების დროს რეაგირებს მყისიერად, სამედიცინო პერსონალის კომპეტენციის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში კი იძახებს სასწრაფო დახმარებას და უკავშირდება მშობლებს.

ამჟამად, 1807 (2024 წლის მარტის მონაცემები) საჯარო სკოლაში დასაქმებულია სამედიცინო პერსონალი, ექიმი ან/და ექთანი და ყველა კერძო სკოლას აქვს სამედიცინო მომსახურება. საერთო ჯამში, სკოლების 87%-ში არის სკოლის ექიმი და სამედიცინო კაბინეტი. თუმცა, სკოლებში ახალი ვაკანსიების გაჩენამ (ექიმი/ექთანი) გამოიწვია კადრების დეფიციტი, რადგან ექიმების უმეტესობა არაერთ ადგილზეა დასაქმებული. როდესაც სკოლა საჭირო კადრს ვერ პოულობს, იძულებულია, მიიღოს აპლიკანტი, რომელიც უკვე დასაქმებულია და სურვილი აქვს, შეთავსებით იმუშაოს, იმის მიუხედავად, რომ სკოლაში ექიმის/ექთნის ყოფნა მოსწავლის გამოცხადებიდან მის სახლში წასვლამდე აუცილებელია. 2023 წლის ნოემბერის მონაცემებით 326 საჯარო სკოლაში ვაკანსია იყო გამოცხადებული (უმეტეს შემთხვევაში დეფიციტი არის მაღალმთიან დასახლებებში, სოფლებისა და დაბების საჯარო სკოლებში).

მოსაზრებების ავტორები აღნიშნავენ, რომ საჯარო სკოლების უმრავლესობა აღჭურვილია სუფთა და ნათელი, კარგად გარემონტებული სამედიცინო ოთახით, რომელიც სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსებით, სამედიცინო ინვენტარითა და მედიკამენტებით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, პროგრამის ფარგლებში, სკოლაში მოეწყო ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი რესურსებით. რამდენიმე სკოლა აღნიშნავს, რომ მიმდინარეობს პერსონალის შერჩევის პროცესი და ახალი სასწავლო წლიდან

მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალს მოემსახურება სკოლის ექიმი, ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს დაცული და უსაფრთხო გარემოს შექმნას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. სკოლის ექიმი სამედიცინო შემოწმებას ახორციელებს პერიოდულად, კერძოდ, სასწავლო წლის მანძილზე 2 - ჯერ ან მეტჯერ.

სკოლების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული სკოლის ექიმი, კლასის დამრიგებელთან და სკოლის პერსონალთან ერთად. ასევე, ხდება მოსწავლეების ყოველდღიური მონიტორინგი და მათი ცნობიერების ამაღლება ინფექციური დაავადებების გავრცელების და საფრთხეების შესახებ. აგრეთვე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომუნიკაციას მშობლებთან.

თემატური მოკვლევის ფარგლებში, შემოსულ მოსაზრებებში აღნიშნულია ინფორმაცია სავალდებულო ვაქცინაციისა და გოგონებში პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო აცრის ჩატარების თაობაზე. მოსწავლის სამედიცინო ბარათში ჩანაწერების არსებობის საფუძველზე და ამბულატორიის ექიმთან თანამშრომლობით ხდება მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება გამოტოვებული ან უახლოეს პერიოდში აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციის ჩატარების აუცილებლობის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაციის მიწოდების პროფესიული დონე ინფექციურ დაავადებებთან და იმუნიზაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული, ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებებში სკოლის ექიმის აქტიური ჩართულობით არის განპირობებული.

ასევე, მოსაზრებების ავტორები ასახელებენ, რომ სასურველია უშუალოდ, სასკოლო გარემოში, ექიმის საჭიროებების უწყვეტი განვითარებისთვის რეგულარულად ტარდებოდეს სასწავლო კურსები, რაც კიდევ უფრო დაეხმარება მათ დაკისრებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელებაში.

სკოლების უმრავლესობა საუბრობს ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობის პრობლემებზე, რაც შესყიდვის განხორციელების

პროცედურების სირთულეში გამოიხატება. გამოწვევაა მედიკამენტების შეძენის ფორმები, ვადები და არსებული ბიუროკრატიული ბარიერები. ასევე, გამოწვევად სახელდება, სამედიცინო კაბინეტების საჭირო რესურსებით აღჭურვის საკითხი.

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ თემატურ მოკვლევაში ჩართული 86 საჯარო სკოლა მოქმედებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანება N 41/ნ/01-23/ნ შესაბამისად.

## მიგნებები

სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

1. სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულების ვალდებულება გადანაწილებულია რამდენიმე ადამიანზე. უმეტესად ესენი არიან დამლაგებლები, რომელთა რაოდენობა ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს საჭიროებებს და აღნიშნულის ძირითად მიზეზად სახელდება მათი ანაზღაურების სიმცირე;
2. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე მეთვალყურეობა ხორციელდება შიდა და გარე მონიტორინგის გზით. შიდა მონიტორინგში ჩართულია სკოლის დირექცია, ზოგჯერ ექიმი/ექთანი. გარე მონიტორინგის პროცესში კი უმეტესად სახელდება რაიონული რესურსცენტრი, თუმცა სკოლების ნაწილს ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს;
3. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა განსაკუთრებით გაუმჯობესდა COVID 19 პანდემიის შემდეგ;
4. მოკვლევაში ჩართული სკოლების ნაწილი გამოწვევად ასახელებს მცირე რაოდენობის ინვენტარს სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად;
5. ჰიგიენური ნორმების დაცვა და ზედამხედველობა გამარტივებულია განახლებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სადაც კედლები, იატაკი, სველი წერტილები და საკლასო ოთახების მოწყობა შესაბამისობაშია უახლეს სტანდარტებთან;
6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გარკვეული ნაწილი სირთულეებს აწყდება სველი წერტილების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისას, ამის განმაპირობებელი მიზეზები კომპლექსურია და მოიცავს: ინფრასტრუქტურულ გაუმართაობას, პასუხისმგებლობების

გადანაწილების მხრივ ხარვეზებს, სველი წერტილების მოწესრიგებაში ჩართული ადამიანური რესურსების ნაკლებობას, მოსწავლეთა არასათანადო ჰიგიენურ ქცევას და სხვა;

7. გამოწვევად რჩება მოსწავლეთა ჰიგიენური ქცევის საკითხი, რაც პირველ რიგში გამოიხატება პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხო პრაქტიკის სწავლებით, მოსწავლეთა მოტივირებით გაავრცელონ სასარგებლო ქცევითი მესიჯები სკოლის კედლებს გარეთ;
8. სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს როგორც ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები, ასევე ჰიგიენის სწავლების საკითხის გადახედვა და გაძლიერება.
9. არასაკმარისია ადამიანური რესურსი სკოლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დალაგებისთვის.
10. სკოლები, რომლებიც ვერ სარგებლობენ ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემით, არ არიან საკმარისად ინფორმირებული გამოყენებული წყლების მოცილების წესებთან დაკავშირებით;
11. სკოლების უმეტესობა იცნობს N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებულ გაიდლაინს „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“, თუმცა მათი ცოდნა დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, ნარჩენების მართვისა და დასუფთავების სხვა არსებულ ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე ძალიან ზოგადია;
12. სკოლებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია მავნებლების მართვის გეგმებისა და პროგრამების შესახებ, აქვე სკოლების მცირე ნაწილი ატარებს მავნებლებზე დაკვირვებას, ისიც დადგენილი პერიოდულობით და შესაბამისი ჩანაწერების წარმართვის გარეშე;
13. სკოლების ნაწილის მიერ ვერ ხერხდება მავნებლებთან დაკავშირებული საფრთხეების ზუსტი იდენტიფიცირება და მათი საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების წარმოება;

14. 2024 წლის მდგომარეობით სკოლების უმრავლესობაში სველი წერტილები სსსმ და შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზეა მორგებული;

### წყალი

1. საჯარო სკოლების სასწავლო გეგმებში შეტანილია ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებული სწავლება, შედგენილია კურიკულუმები, სადაც მოცემულია საკითხები წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე, სასმელი წყლის მნიშვნელობაზე;
2. სასკოლო საზოგადოებაში წყალზე, სანიტარია-ჰიგიენასა და სასმელი წყლის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის დონე დაბალია;
3. საჯარო სკოლების უმრავლესობას არ გააჩნია სასმელი წყლის უზენებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (გამოცდის ოქმები, ჰიგიენური შეფასება);
4. სკოლების უმრავლესობას არ აქვთ სრულყოფილი წარმოდგენა რომელი ორგანიზაცია არის უფლებამოსილი აკონტროლოს სასმელი წყლის უზენებლობა, როგორი ჯერადობით და როგორია ანგარიშგების ფორმა, ასევე სასმელი წყლის ხარისხის შეუსაბამობის შემთხვევაში ვინ აწვდით ინფორმაციას, რა სახით, ვინ შეიმუშავებს რეკომენდაციებს, როგორ ხდება მათ შესრულებაზე მონიტორინგი;
5. სკოლებს უსაფრთხო სასმელი წყლის უზრუნველყოფ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ძირითადად მოაზრებული აქვთ შენობებში განთავსებული დისპენსერები, სამარაგო ავზები, წყლის წერტილები (ონკანები), არ აქვთ განმარტებული არის თუ არა აღნიშნული საკმარისი მათი კონტინგენტისათვის;
6. დიდ ქალაქებს, რომლებსაც სასმელი წყალი მიეწოდებათ ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემით, ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით უფრო სახარბიელო მდგომარეობა აქვთ სოფლად უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობასთან შედარებით, რომლებიც

მარაგდებიან მცირე წყალმომარაგების სისტემებით (ჭა, სოფლის წყალსადენი, ჭაბურღილი, წყარო);

7. სკოლებში სასმელი წყლის ხარისხსა და მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე არ არის დადგენილი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი უწყება, გარდა იმ შემთხვევებისა თუ სკოლას აქვს კვების ბლოკი, როდესაც სახელმწიფო კონტროლს საჯარო სკოლებში ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო;
8. სკოლების ნაწილში განთავსებული დისპენსერების რაოდენობა ყველგან არ არის სკოლის მოსწავლეთა რაოდენობასთან შესაბამისი, რის გამოც არსებობს რისკი, რომ მოსწავლე იღებს იმაზე ნაკლებ წყალს, ვიდრე სჭირდება მის ორგანიზმს, ზოგიერთი კი წყალს საერთოდ არ სვამს, ან სვამს სველ წერტილებთან ახლოს ან უშუალოდ სველი წერტილიდან.

### ჰაერი

1. მასწავლებლები საჭიროებენ ტრენინგს/სწავლებას სუფთა ჰაერის მნიშვნელობაზე, მოზარდთა განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად;
2. სკოლების მხრიდან ძირითადი აქცენტი იქნა გადატანილი ჰაერის დაბინძურების ხარისხის შეფასებაზე ორგანოლეპტიკურად (ვიზუალურად, სუნით), რაც ლაბორატორიული კვლევების ჩატარების ან/და ჰაერის ხარისხზე მონიტორინგის გარეშე, შესაძლოა, იყოს სუბიექტური;
3. სახელმწიფო უწყებების ძირითადი რეკომენდაციები ეფუძნება COVID 19 მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა არ იკვეთება ინფორმაცია, თუ რა რეკომენდაციები გაიცემა ჰაერის ჰიგიენასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებზე.



## სკოლის ექიმი

1. სკოლების 93%-ში სამედიცინო კაბინეტი მოწყობილია ბრძანების შესაბამისად: აღჭურვილია ავეჯით, სამედიცინო ინვენტარით, ტექნიკით, მედიკამენტებით და სახარჯი მასალით;
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ სირთულეები შესყიდვის განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით;
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობას გათვითცნობიერებული აქვს სკოლის სამედიცინო პერსონალისთვის სპეციფიკური პროფესიული განათლების საჭიროება და სურს დამატებითი სასწავლო კურსები და ტრენინგები.

## რეკომენდაციები

საქართველოს სკოლებში ჯანსაღ სასკოლო გარემოსთან დაკავშირებული საფრთხეების პრევენციის, კონტროლის, აღმოფხვრის, შემცირების, არსებული ხარვეზების გამოსწორებისა და კომუნიკაციის სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით, შემოსული მოსაზრებებისა და კვლევების საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნა ძირითადი გამოძვევები და შესაძლებლობები, რის საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

N	რეკომენდაცია	რეკომენდაციის ადრესატი	ვადა
1.	სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის, წყლისა და ჰაერის ხარისხის საყოველთაო შეფასება, რომელიც ასევე მოიცავს მართვის არასწორ პრაქტიკასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეებისა და რისკების გამოვლენას.	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</li> <li>• საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</li> <li>• საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</li> </ul>	2025 წელი
2.	სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის სათანადო მართვის უზრუნველსაყოფად ერთიანი სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის შემუშავება, რომელიც მოიცავს სანიტარიულ-	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</li> </ul>	2025 წელი

	<p>ჰიგიენური, სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო, სასმელი წყლის, სკოლების მოწყობის, აღჭურვისა და ფუნქციონირების ნორმებს, წესებსა და პირობებს. მნიშვნელოვანია დოკუმენტი მოიცავდეს სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებსაც.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</li> </ul>	
3.	<p>სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების რაოდენობის და მათი სახელფასო პოლიტიკის გადახედვა.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</li> <li>• საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</li> </ul>	2026 წელი
4.	<p>სკოლებში მღრღნელების, მავნებლებისა და დაავადებების გადამტანი მწერებისგან თავდაცვის, მონიტორინგისა და მართვის სისტემის შემუშავება.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</li> </ul>	2025 წელი
5.	<p>სკოლებში სასმელი წყლის ხარისხზე განხორციელდეს სისტემური კონტროლი და განისაზღვროს სასმელი წყლის უვნებლობის კონტროლზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</li> <li>• საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</li> </ul>	2025 წელი

		<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</li> </ul>	
6.	სკოლის ექიმისთვის/ექთნისთვის საჭირო სპეციფიკური, პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით შემუშავდეს, სპეციალური უწყვეტი პროფესიული განათლების პროგრამა და მოხდეს მათი ეტაპობრივი გადამზადება.	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</li> <li>საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</li> </ul>	2026 წელი
7.	გაფართოვდეს სკოლის ექიმის განათლებისა და გამოცდილების სავალდებულო მოთხოვნების ჩამონათვალი და შეფასდეს სკოლის ექიმის სახელფასო პოლიტიკა.	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</li> <li>საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</li> <li>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</li> </ul>	2026
8.	ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის პროცესში გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში გაძლიერდეს ჰიგიენასა და	<ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</li> <li>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,</li> </ul>	რეგულარულად

	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სწავლება.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	
--	---	--	--

## გამოყენებული ლიტერატურა

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი, მოძიებულია 29 მარტი 2019 ბმულიდან <http://air.gov.ge/pages/13/13>;
- ახალგაზრდებისა და მოზარდების რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პირველადი დახმარება' ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ლოზანას უნივერსიტეტის, შვეიცარია (EUTEACH European Training in Effective Adolescent Care and Health) და გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის (UNFPA) თანამშრომლობის შედეგად;
- გაეროს ბავშვთა ფონდი, 2023 წელი „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევა“
- გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1966 წელს მიღებული „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-15 ზოგადი კომენტარი
- ევროპის ფონდის ახალგაზრდული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო „ძირთადი მოთხოვნები სკოლის ტუალეტების უსაფრთხო მოხმარებისადმი“
- მშობლების გამოკითხვა „სკოლის დასუფთავება“ მშობლები განათლებისთვის“, პროექტის „მშობელთა ორგანიზებული ჩართულობა სკოლაში“ ფარგლებში, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, 2023წ.
- „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანება

- საქართველოს კანონი “ზოგადი განათლების შესახებ“
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ლოზანას უნივერსიტეტის, შვეიცარია (EUTEACH European Training in Effective Adolescent Care and Health) და გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის (UNFPA) თანამშრომლობის შედეგად. მომზადებული სახელმძღვანელო სკოლის ექიმებისთვის: „ახალგაზრდებისა და მოზარდების რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პირველი დახმარება“
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნები
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებულ „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციაში (გაიდლაინი, 2020 წ.)
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ-ით დამტკიცებულ სანიტარიული წესების და ნორმების სანქდან 2.1.4. 000 – 00 „ჰიგიენური მოთხოვნები არაცენტრალიზებული წყალმომარაგების წყლის ხარისხისადმი. წყაროების სანიტარიული დაცვა“ და ტექნიკური რეგლამენტით „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში“ დადგენილი წესები
- საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში/ თემატური მოკვლევა
- 2004 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული უვნებელი სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის ეფექტური

მიდგომები, სახელმძღვანელო მასალების „წყლის უსაფრთხოების გეგმის (წყუგ)“ სახით

- Codex Alimentarius/ CXC 1-1969/ „სურსათის ჰიგიენის ზოგადი პრინციპები“
- Durán-Narucki V. School building condition, school attendance, and academic achievement in New York City public schools: A mediation model. J. Environ. Psychol. 2008
- EPA/735-F-17-004 | May 2017/ PEST CONTROL IN THE SCHOOL ENVIRONMENT
- The Guardian, Shock figures to reveal deadly toll of global air pollution, 16 January 2016, <https://bit.ly/29iYBPS>
- United Nations (UN) United Nations; New York, NY, USA: 2011. The Millennium Development Goals Report 2011; Mathekgana
- WHO. Regional Office for Europe. Copenhagen. Parma Declaration on Environment and Health. Fifth Ministerial Conference on Environment and Health – “Protecting Children’s Health in a Changing Environment”, Parma, Italy, 10-12 March 2010. EUR/55934/5.1 Rev.2 100604
- Zomerplaag J, Mooijman A (2005). Child-friendly hygiene and sanitation facilities in schools: indispensable to effective hygiene education. Technical paper series No. 47. IRC International Water and Sanitation Centre, Delft and United Nations Children’s Fund, New York. Available at <http://www.irc.nl>



## დანართი

### სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

- როგორ კონტროლდება სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულება და რამდენად საკმარისია არსებული მექანიზმები/რესურსები?
- რამდენად უზრუნველყოფილია სკოლები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, უსაფრთხო სველი წერტილებით?
- რამდენად არიან ინფორმირებულები დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პერსონალი დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, ნარჩენების მართვისა და სხვა არსებულ ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე?
- რამდენად უზრუნველყოფს სკოლებში არსებული სანიტარიული ინფრასტრუქტურა იმგვარი დაავადებების პრევენციას, რომელსაც იწვევს ცხოველები და მწერები?

რა განსხვავებაა უსაფრთხო სველი წერტილების ხელმისაწვდომობის კუთხით, სხვადასხვა ტიპის დასახლებებში (დიდი ქალაქი, სოფელი და ა.შ.)?

### წყალი

- რამდენად არიან სასკოლო თემის წარმომადგენლები ინფორმირებულები სასმელი წყალის მიღების მნიშვნელობაზე, მოზარდთა განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში, ამასთანავე, რამდენად მიუწვდებათ ინფორმაცია მისი გამოყენების წესზე?
- როგორ კონტროლდება სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის საკითხები და რამდენად საკმარისია არსებული მექანიზმები/რესურსები?
- რამდენად არიან მოსწავლეები უზრუნველყოფილი სუფთა და უსაფრთხო სასმელი წყლით?
- რამდენად გამართულია სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა?

- რა განსხვავებაა უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობაზე სხვადასხვა ტიპის დასახლებებში (დიდი ქალაქი, სოფელი და ა.შ.)?
- გთხოვთ, გაგვიზიაროთ უსაფრთხო სასმელი წყლის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები და მათი საპასუხო კონკრეტული რეკომენდაციები.

### ჰაერი

- რამდენად არიან სკოლები ინფორმირებულები სუფთა ჰაერის მნიშვნელობაზე, მოზარდთა განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის დაცვის პროცესში?
- რამდენად გამოიყენება სკოლის შენობაში ჰაერის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებები?
- რამდენად არის გათვალისწინებული სკოლებში, მათ შორის იქ, სადაც მიმდინარეობს რეაბილიტაცია და მშენებლობა, სუფთა ჰაერის დაცვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა?
- რამდენად არიან ინფორმირებულები მოსწავლეები და სკოლის პერსონალი ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები დაავადებისა და მათგან თავის არიდების მექანიზმების შესახებ?

### სსსმ და შშმ მოსწავლეები

- რამდენად არის სველი წერტილები სსსმ და შშმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული?
- რამდენად არის გათვალისწინებული სსსმ და შშმ მოსწავლეთა საჭიროებები სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვისას?

### სკოლის ექიმი

- როგორ შეაფასებდით სკოლის ექიმის როლს მოსწავლეებში სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების დაცვისა და სასკოლო თემის წარმომადგენლებში ცნობიერების ამაღლების პროცესში?

- როგორ შეაფასებდით, სკოლის ექიმის მიერ მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე რეაგირების ფორმებს?
- რამდენად ახორციელებს სკოლის ექიმი სამედიცინო შემოწმების პერიოდულ ღონისძიებებს?
- როგორ არის ჩართული სკოლის ექიმი ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებებში, ამასთანავე, რამდენად უწევს ზედამხედველობას მოსწავლეთა იმუნიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს?

#### **ზოგადი საკითხები**

- რამდენად არის სამედიცინო კაბინეტები/პუნქტები აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსებით?
- რამდენად უზრუნველყოფილია სკოლის სამედიცინო პერსონალისთვის პროფესიული განვითარების მექანიზმები?
- გთხოვთ, მოგვაწოდოთ მოსაზრებები სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და ექიმებთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, რომელიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე შეკითხვებში;
- გთხოვთ, გაგვიზიაროთ საკითხთან დაკავშირებული, თქვენს ხელთ არსებული, კვლევები, ანგარიშები, საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და სხვა რელევანტური რესურსები, რომელიც შესაძლოა გამოდგეს საკითხის შესწავლის პროცესში;
- გთხოვთ, გაგვიზიაროთ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი გამოწვევები და რეკომენდაციები.